

ქართული ხელოფნების ისტორიის ინსტიტუტი

განვითარების მინისტრი

ზემო ქრისტი ხაროვანიძე ქადაგი და მისი აღგილი
ქართული ხელოფნების განვითარების ისტიტუტი

ხელოვნებათმოცველის მინისტრის ქანცილის სამეცნიერო
ხარისხის მოსაკრძალვად უარმოშენიშვნი საჭიროდაციო შრომის

თ. ე ზ ი ს თ ბ ი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემის წესით

დისერტაციის დაცვა დანიშნულია ქართული ხელოვნების ისტორიის
ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე 1948 წლის
22 ივნისს, დღის 1 საათზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა
აკადემიის სასხდომო დარბაზში (ძერეინსკის ქ. № 8).

ოფიციალური ოპერაციები:

- პროფ. ნიკ. ს ე ვ ე რ ო ვი, სსრკ არქიტექტურის აკადემიის ნამდვილი წევრი.
- ნიკ. ჩ უ ბ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

1. ზემო კრიხის მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც მდებარეობს ამბროლაურიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, შისგან ხუთი-ოდე კილომეტრის დაშორებით, საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცალნავიან დარბაზულ ნაგებობის თემას მიეკუთვნება. ტაძარი წარმოადგენს დარბაზზე ხუთწახნაგოვანი შეერილი აფსიდით. სამხრეთით და დასავლეთით მიშენებული „საქალებო“ მშენებლობის მეორე პერიოდს ეკუთვნის.

2. ნაგებობა თითქმის უცვლელი სახითაა შემონახული. გადაკეთება, რომელიც მან XIX საუკ. დასასრულს განიცადა, მხოლოდ დარბაზის დასავლეთის კედელსა და მინაშენს შეეხო. ამ გადაკეთებას პირველ ხუროთმოძღვართა მონაფიქრის არსებითი შეცვლა არ მოჰყოლია.

ტაძრის თავდაპირველი ფორმებისა და დაკარგული ნაწილების აღდგენა შემონახული ფრაგმენტების მიხედვით თითქმის მთლიანად ხერხდება.

3. ზემო კრიხის ტაძარი, თავისი გეგმით, ცალნავიანი თემის თავისებურად გართულებულ ვარიანტს წარმოადგენს.

საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ ცალნავიან ნაგებობისათვის დამახასიათებელი სამნაწილედი საკურთხევლის ნაცვლად, კრიხის ხუროთმოძღვარი სამნაწილიან ბემას ქმნის: საკურთხევლის გვერდით ორი ლრმა და მაღალი, კონქით დახურული ნიშია მოთავსებული. ეს თავისებურება, ისევე, როგორც ორი სარკმლით გაშუქებული ლრმა ბემა და დარბაზის მოკლე, ფართო და მაღალი ფორმა—ზემო კრიხის ძეგლს განცალკევებულ აღგილს აქუთვნებს აღნიშნული თემის სხვა ძეგლთა შორის.

4. ძეგლის ხუროთმოძღვრულ ფორმათა საერთო აგებულება, მიუხედავად შენობის აბსოლუტური სიდიდისა, მონუმენტალურ შთაგეჭდილებას სტოვებს. ეს იმით აიხსნება, რომ ხუროთმოძღვარმა თავისებურად დაარღვია პროპორციათა წინათ მიღებული ნორმები და მთელი ეფექტი ხუროთმოძღვრულ მოცულობათა კონტრასტულ დაპირისპირებას დააფუძნა. დარბაზის ფართო, მოკლე და მაღალი ფორმა, საგანგებოდ გაშუქებული აღგილის (საკურთხეველი) გამო-

ყოფა, პლასტიკურ ფორმათა ცალმხრივი დაჯგუფება და ინტერიერში ჩუქურთმის მოხმარების ფაქტი—ზემო კრიხის ტაძარს X საუკ. ძეგლების ჯგუფს მიაკუთვნებს.

5. ანალიზით ირკვევა, რომ ნაგებობის გარედან აღქმისას, დამახასიათებელია—ერთი მხრივ მასივურობა, სავსე ფორმათა სიდარბაისლე, მეორე მხრივ—გაძლიერებული ექსპრესია და ნაგებობის ძირითადი ნაწილის (დარბაზი) მეტად ამაღლებული პროპორციები. ყველაფერი ეს, და აგრეთვე ფასადების დეკორატიული გადაწყვეტა, ამჟღავნებს ოსტატის შემოქმედების თავისებურებას, რომელიც ცხოველხატული სტილის ადრინდელ საფეხურს უკავშირდება.

6. ტაძრის ხუროთმოძღვრული მორთულობა ექვემდებარება ნაგებობის საერთო გადაწყვეტას. ჩუქურთმათა განლაგებით მკვეთრად გამოვლინებულია ნაგებობის მთავარი ელემენტები: ინტერიერში —აღმოსავლეთის კედელი საკურთხევლით, გარედან—სამხრეთისა და, საფიქრებელია, დასავლეთის შესასვლელიც.

7. ჩუქურთმა, რომელიც ტაძრის თანამედროვეა, ორი სხვა-დასხვა ოსტატის ხელით არის შესრულებული. ორივე ოსტატი ქვა-ზე კვეთის თანაბარი ხელოვანია.

პირველი ოსტატი ბრწყინვალე შემსრულებელია, მისი გრაფიკულად მოდელირებული ჩუქურთმა ჩრდილ-სინათლის ეფექტებით არის აღჭურვილი, იგი სავსეა მოძრაობითა და დაძაბულობით. ამასთანავე ამ ოსტატისათვის დამახასიათებელია ჩუქურთმის ჭრა ცერად ჩაკვეთილი სიბრტყეებით. ამ ჩუქურთმათა მოტივების თავისებურება გვავარაუდებინებს, რომ ისინი ახალგაზრდა ოსტატის შემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს.

მეორე (საფიქრებელია, ხნიერი) ოსტატი ფორმებს სხვაგვარად შეიგრძნობს. მისი გრაფიკული ნახატი დუნეა და სიცოცხლეს მოქლებული. ჩუქურთმა განხორციელებულია ორ სიბრტყეში: ფონი და ჩუქურთმის ზედა პირი, რომელიც ხაზებით არის დასერილი. ოსტატი მოძრაობის შთაბეჭდილებას აღწევს სახის დანაწევრებით და კლასიკურად ნათელი საგნობრივი ფორმის უარყოფით.

8. ტაძრის ჩრდილოეთის კედელში მოთავსებულია ორი წირწერა. მათში მოხსენებული შვილად და ფეთაისა—სწორედ პირველი და მეორე ოსტატი უნდა იყვნენ.

9. ორივე ოსტატის მიერ შესრულებული ჩუქურთმები, მათი დამახასიათებელი ნიშნებით, საშუალებას გვაძლევს ძეგლის აშენების

თარიღი აგრეთვე X საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით განვ-
საზღვროთ.

10. ზემო კრიხის ტაძრის მასათა განლაგება და ფასადების
საერთო გადაწყვეტა მსგავსებას მეზობელ ზემო სვანეთის X საუკ.
სუროთმოძღვრულ ძეგლებთან ჰქოვებს. დეკორატიულ ელემენტების
მოხმარების მხრივ—კრიხის ხუროთმოძღვრის ნაწარმოები, ისევე,
როგორც რაჭის დანარჩენი ძეგლები (კუდაროს ძეგლები, მრავალ-
ძალი, ჯოისუბანი, სალხინო, ზედაშავრა-კვერთი, პატარა ონი, ხიმში,
ნიკორწმინდა და სხვ.), საქართველოს სხვა მოწინავე პროვინციათა
(ქართლი, ტაო-კლარჯეთი) ძეგლების რიგში დგას.

11. მინაშენის ხუროთმოძღვრული ფორმებისა და მასზედ
ფართოდ მოხმარებული ჩუქურთმის ანალიზი მისი აშენების თარი-
ღად XI საუკ. მეორე მეოთხედზე მიგვითითებს.

12. მინაშენი მთლიანად მიეკუთვნება რაჭის იმ ძეგლთა ჯგუფს,
რომელნიც განსაზღვრავენ საქართველოს ამ ისტორიული პროვინციის
ხუროთმოძღვრების მაღალ მხატვრულ დონეს XI საუკ. მანძილზე
და უფრო მჭიდროდ აკავშირებენ მას ქართული ხელოვნების საერ-
თო განვითარების გზასთან.

ВАХТАНГ ЦИНЦАДЗЕ

АРХИТЕКТУРНЫЙ ПАМЯТНИК ЗЕМО-КРИХИ И ЕГО МЕСТО
В ИСТОРИИ РАЗВИТИЯ ГРУЗИНСКОГО ИСКУССТВА

т е з и с ы

რედაქტორი საქ. სსრ მეცნ. აკად. ნამდვილი ჭეკრი
ქრონ. გ. ჩუბინაშვილი